პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 26 ნოემბერი, 1943 წ. № 244 (6869). ფასი 20 კაპ.

საბჭოთა მრეწველობის წარმატებანი საომარ ოპერაციებში

მ. ი. კალინინი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავის შესახებ 1943 წლის 6 ნოემბერს გაკეთებულ მოხსენებაში ამხანაგმა სტალინმა მოგვცა ფრონტების მდგომარეობის საერთო ანალიზი და გააშუქა ძირითადი მომენტები, რომლებიც საბჭოთა კავშირის ძალიერებას განსაზღვრავენ.

ამხანაგ სტალინის ყოველი ასეთი გამოსვლა შეადგენს არა მარტო ნიშანსვეტს საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიულ გზაზე, არამედ კიდევაც ასურათებს მისი განვითარების ცალკეულ მხარეებს; მე შინდა შევჩერდე ერთერთ ამ მხარეზე.

თავის მოხსენებაში ამხანაგმა სტალინმა თქვა: „გასული წელი გარდატეხის წელი იყო არა მარტო საომარი მოქმედების მსვლელობაში, არამედ ჩვენი ზურგის მუშაობაშიც. ჩვენს წინაშე უკვე აღარ იდგა ისეთი ამოცანები, როგორიც არის საწარმოთა ევაკუაცია აღმოსავლეთში და მრეწველობის გადაყვანა საჭურველის წარმოებაზე. ახლა საბჭოთა სახელმწიფოს გამართული სამხედრო მეურნეობა აქვს, რომელიც სწრაფად იზრდება“.

მართლაც, ჩვენმა ხალხმა ამ დროის განმავლობაში ცოტა მეცადინეობა და შრომა კი არ გასწია წარმოების გადიდებისათვის, საჭურველის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. და ამაში ჩვენ დიდ წარმატებებს მივაღწიეთ. წითელი არმია შეუფერხებლად იღებდა, როგორც ამხანაგმა სტალინმა სთქვა, საბრძოლო საჭურველს და მილიონობით ბომბს, ნაღმსა და ყუმბარას აყრადა თავზე მტერს, ითასობით ტანკი და თვითმფრინავი გამოჭავდა ბრძოლაში.

და ამხანაგმა სტალინმა, არა მარტო როგორც მთავრობის მეთაურმა, არამედ როგორც ჩვენი შეიარაღებული ძალების უზენაესმა მთავარსარდალმაც, კმაყოფილებები განაცხადა, რომ „ზურგში საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომა წითელი არმიის გმირულ ბრძოლასთან ერთად შევა ისტორიაში, როგორც ხალხის უმაგალითო გმირობა საშობლოს დასაცავად“.

ყველამ იცის, რომ ჩვენი მრეწველობა სტალინის შექმნილია. იგი ვითარდებოდა ამხანაგ სტალინის მიერ დასახული გზით. და იმ წარმატებებს, რომლებიც მრეწველობის მიერ მიღწეულია უკვე ომიანობის დროს, აქვთ ისტორია, რომელიც შეიძლება შევსწავლოთ ომის დასაწყისიდანვე ამხანაგ სტალინის მოხსენებების მიხედვით.

ჯერ კიდევ 1941 წლის 3 ივლისს რადიოთი წარმოთქმულ თავის პირველ სიტყვაში ამხანაგმა სტალინმა ნოუწოდა საბჭოთა ადამიანებს უზრუნველყოთ ყველა საწარმოთა გაძლიერებული მუშაობა, დამზადებინათ მეტი შაშხანა, ტყვიამფრქვევი, ქვემეხი, ვაზნა, ყუმბარა, თვითმფრინავი. ოთხი თვის შემდეგ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 24-ე წლისთავის შესახებ გაკეთებულ ნოხსენებაში ამხანაგი სტალინი კვლავ მოგვაგონებს, რომ ჩვენმა მუშებმა და მოსამსახურეებმა, მამაკაცებმა და ქალებმა, დაუცხრომლად უნდა იმუშაონ საწარმოებში და ნის�ტ ფრონტს სულ უფრო და უფრო მეტი ტანკი და საჭურველი. ერთი წლის შემდეგ ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, რომ შესრულებულია ომიანობის დროის ერთ-ერთი უძნელესი ამოცანა — აღმოსავლეთ რაიონებში მრეწველობის ბაზის გადატანა. ბევრი მოწყობილი არიან ახალ ადგილებში, ფაბრიკები და ქარხნები მოწყობილია, გაფუძყობილებულია ფრონტისათვის მომუშავე საწარმოთა მუშაობა, განმტკიცებულია შრომის დისციპლინა ზურგში, მრეწველობა უკვე დამაკმაყოფილებლად მუშაობს, კეთილსინდისიერად და აკურატულად ამარაგებს წითელ არმიას საჭირო შეიარაღებით.

ომიანობის დროის პირობებში ჩვენი მრეწველობა, რომელიც სძლევდა უდიდეს ორგანიზაციულ სიძნელეებს, თვე და თვე აუმჯობესებდა წარმოებას და აკმაყოფილებდა ჩვენი არმიის უფრო და უფრო მზარდ მოთხოვნილებებს.

იბადება კითხვა, რა წყაროებიდან იღებს ჩვენი მრეწველობა იმ ძალას, რომელიც ჩვენ ამჟამად საშუალებას გვაძლევს წარმატებით გავართვათ თავი ფრონტის მომარაგებას ყოველივე იმით, რაც მას ესაჭიროება. სად პოულობს ჩვენი მრეწველობა ტექნიკურად მომზადებულ ადამიანებს, მაღალნიჭიერ სპეციალისტებს.

ჩვენ იმიტომ დავსვით აქ ეს კითხვა, რომ მას აყენებს საზღვარგარეთული პრესა: მოკავშირე პრესა — სიბარულით, ნეიტრალური — გაკვირვებით, ხოლო გერმანული — პირდაპირ უაღრესად შეშფოთებული: ბოლშევიკებმა გერმანია მოატყუეს, გერმანელ მხეკრავებს თავიანთი სამრეწველო პოტენციალი დაუმალესო. მაგრამ ჩვენი მრეწველობა ხომ მთელი მსოფლიოს თვალწინ ვითარდებოდა. მისი განვითარების სრული სურათი შეიძლება მივიღოთ, თუ გავეცნობით ამხანაგ სტალინის მოხსენებებსა და დირექტივებს თუნდაც 1930 წლიდან. მრეწველობის და დამგეგმავი ორგანოების ხელმძღვანელთა მოხსენებებში საბჭოების, პარტიის ყრილობებზე გვეძლეოდა მრეწველობის განვითარების სრული, დეტალურად დამუშავებული გეგმები, საწარმოთა ჩამოთვლით და მათ ასაგებად გათვალისწინებული თანხებით. ეს ციფრობრივი მასალები იბეჭდებოდა და ფასაყიდად გამოდიოდა. მაშასადამე, იმას, ვისაც სურდა დაენახა, თუ როგორ მიმდინარეობდა ჩვენი მრეწველობის განვითარება, ადვილად შეეძლო ამის გაკეთება.

ვინ არ იცოდა მაგნიტოგორსკის კომბინატის, ურალის მანქანათმშენებლობის ქარხნის, კუზნეცკის კომბინატის, ჩელიაბინსკისა და სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნების, სარატოვისა და როსტოვის კომბაინთა ქარხნების, მშენებლობის ამბავი, მთელი ქალაქების მშენებლობის ამბავი, რომლებიც ამ წლების განმავლობაში გაჩნდნენ, ისეთებისა, როგორიც არის მაგნიტოგორსკი, კომსომოლსკი, დონბასსა და უკრაინაში გრძელდებისა და სხვა საწარმოთა მშენებლობის ამბავი?

ყოველივე ამის შესახებ პრესაში იბეჭდებოდა, ამაზე მთელი საბჭოთა კავშირი ლაპარაკობდა. და არა მარტო ლაპარაკი იყო ამაზე, არამედ საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქე, თუ უშუალო ფიზიკური ან გონებრივი მუშაობით არა, ამ საქმისადმი მხურვალე თანაგრძნობით მაინც იღებდა მასში მონაწილეობას. და აი ახლა, კვლავ იგემეს რა დარტყმა წითელი არმიისაგან, გერმანელები ჰგოდებენ, რომ მათ არ იცოდნენ ჩვენი საომრეწველო პოტენციალის შესახებ, რომ ისინი მოტყუებული არიან, რომ ბოლშევიკებმა, თითქოს, ყველასთვის ფარულად, სადღაც შორს აღმოსავლეთში შეჰქმნეს ახალი სამრეწველო ბაზა.

რატომ არ გაისაოცნენ გერმანელები, რომ გარკვეულიყვნენ საბჭოთა კავშირის სამეურნეო განვითარების დედაარსში? მზოლოდ იმიტომ, რომ მათ, თავიანთი ყეყეჩური გულზვიადობით, ეგონათ, რომ ყოველივე ეს ქაღალდზე გამოყვანილი ბაქაიობა იყო და არა რეალური სინამდვილე. უნებურად გვაგონდება რუსული ანდაზა: „თვითონ იცემს თავს ხეცვალი თუ მარჯვედ არა მკისო“.

ჩვენი მრეწველობის წარმატებები უეჭველია. ეს წარმატებები შემოწმებული და გამოცდილია ომის ქარცეცხლში, ისინი განპირობებული არიან ჩვენი მრეწველობის შექმნისა და განვითარების სტალინური მეთოდებით. რომ უფრო კარგად გავიგოთ ეს, ძოვახდინოთ ჩვენი სამხედრო მრეწველობისა და გერმანიის სამხედრო მრეწველობის განკითარების ერთგვარი შედარება.

გერმანიის ფაშისტურმა მთავრობამ, რომელიც თავისი არსებობის პირველი. დღეებიდანვე ემზადებოდა დამპყრობლური ომისათვის, მთელი ყურადღება მიაქცია სამხედრო მრეწველობას და წამოიჭიოლა ლოზუნგი: „ჩვენ ზარბაზნები გვესაჭიროება და არა კარაქი“. სამხედრო მრეწველობის ცალმხრივი განვითარების გულისათვის, რაც კიბოს სიმსივნე გახდა სახალხო მეურნეობაში, ჰიტლერელმა მესვეურებმა ჩაჰკლეს მრეწველობის ყველა სხვა დარგები.

საბჭოთა მრეწველობის განვითარება ყოველმხრივი იყო. მთავრობა, პარტია, ამხანაგი სტალინი ცდილობდნენ, თუ შეიძლება ასე ითქვას, აეკვსთ ჩვენი სახელმწიფო ყოველი სახის სამრეწველო საქმიანობით. და ჩვენ ვაშენებდით არა მარტო მეტალურგიულ და სამხედრო ქარხნებს, არამედ ისეთ გიგანტებსაც, როგორიც არის ბარნაულის, ტაშკენტის და სხვა ძაფსახვიები და საფეიერო კომბინატები, უზბეკეთის „ჩირჩიკსტროი“. რომელიც აზოტს ამზადებს ბამბის მინდვრების გასაპტიზებლად. თითოეული ჩვენი რესპუბლიკა ჰქმნიდა თავის საკუთარ, რესპუბლიკურ მრეწველობას, მოსახლეობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ეს საკავშირო მნიშვნელობის საწარმოთა გარდა. ახლა რამდენი აშენდა ჩვენს ქვეყანაში ხორცკომბინატები, თევზისა და საკონსერვო ქარხნები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამმუშავებელი სხვადასხვა ქარხნები და სხვები.

ჩვენი სამხედრო მრეწველობა უცხო სხეული როდი იყო ჩვენი ქვეყნის ცხოველმოქმედ სამეურნეო ორგანიზმზე. მას გარს ერტყა დიდი პოტენციალის სამოქალაქო ძიერწველობა.

საბჭოთა მთავრობის ზრუნვა მაღალკვალიფიციური კადრების მოშზადებისათვის საყოველთაოდ ცნობილია. ჩვენი მთავრობა არ იშურებდა სახსრებს მუშათა სწავლებისათვის, მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. ჩვენმა მუშებმა გაიარეს პირველხარისხოვან მანქანებზე მუშაობის პირველდაწყებითი სწავლის სტადია და დაეუფლნენ რთულ ტექნოლოგიურ პროცესებს. სახელმწიფომ იკისრა ახალ კვალიფიციურ მუშათა მომზადება. ამ მიზნისთვის შეიქმნა დიდალი სახელოსნო სასწავლებლები და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლები.

ყველასთვის ცნობილია ამხანაგ სტალინის მოწოდება ახალგაზრდობისადმი, რომ იგი დაუფლებოდა მეცნიერებას, ტექნიკურ ბზრს. ეს მოწოდება უპასუხოდ არ დარჩენილა. ჩვენ მშვენივრად ვიცით, თუ ასობით უმაღლესი სასწავლებლები — უნივერსიტეტები და ინსტიტუტები როგორ ამზადებდნენ დღითი დღე ახალ სპეციალისტთა კადრებს. ეს იაფად არა ჯდებოდა, მაგრამ სამაგიეროდ ამჟამად ჩვენი საბალხო მეურნეობის ყველა დარგში, განსაკუთრებით მრეწველობაში, სავსებით კვალიფიციური კადრები გვყავს. რა თქმა უნდა, ჩვენ არა ვუვირით გერმანელებივით, ყეყეჩური ზვიადობით, რომ ჩვენი კადრები საუკეთესოა მსოფლიოში. პირიქით, ჩვენ ხედავ ვამბობდით და ვამბობთ, რომ მზად ვართ ვისწავლოთ და გადმოვიღოთ მსოფლიო მეცნიერებისაგან ყოველივე საუკეთესო, რის მოცემაც კი მას შეუძლია.

და აი ამჟამად, ჩვენსა და ფაშისტურ გერმანიას შორის სასტიკი შებმის მომენტში, ერთმანეთს შეეტაკა მრეწველობის ხელმძღვანელობის ორი სახე, ორი ფორმა. და დაუტრაბახებლად შეიძლება ითქვას, რომ უპირატესობა ჩვენი მრეწველობის მხარეზეა. ახლაც, მძიმე ბრძოლის დღეებში, როცა ჩვენი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავებულია მტრის მიერ და ბევრი სამრეწველო საწარმო დანგრეულია, ჩვენ გვაქვს ძალა და შესაძლებლობა განვავითაროთ და გავუმჯობესოთ ჩვენი მრეწველობა, აღვადგინოთ დანგრეული სოფლები და ქალაქები.

ჩვენი შემოქმედებითი მუშაობა რომ არ შეწყვეტილა, ამის საუკეთესო მაგალითი ის არის, რომ ომის განმავლობაში აშენდა ისეთი უდიდესი ახალმშენებლობანი, როგორიც არის ჩელიაბინსკის მეტალურგიული ქარხანა, ალუმინის ქარხანა ციმბირში. ალტაის სატრაქტორო ქარხანა, შუა აზიაში გაჩაღებულია მშენებლობა ფარხადმშენისა, რომელსაც ექნება მძლავრი ელექტროსადგური და მეტალურგიული ქარხანა, გაყვანილია დიდი მანძილის რკინიგზის ლიანდაგები, აშენდა მოსკოვის მეტროს მესამე რიგი. ყოველ რესპუბლიკაში, ყოველ ქალაქში ამა თუ იმ ზომით გაჩაღებულია შემოქმედებითი მუშაობა, ხოლო ზოგ რესპუბლიკაში, როგორც, მაგალითად შუა აზიის რესპუბლიკებში, ეს მუშაობა გაჩაღებულია კოლოსალური ზომით.

შეფასება, რომელიც ამხანაგმა სტალინმა მისცა ჩვენს სამხედრო წარმატებებს, ჩვენი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის მიღწევებს, ავალებს საბჭოთა ადამიანებს კიდევ უფრო დაძაბონ თავიანთი ძალები მტრის სავსებით გასანადგურებლად.

(24 ნოემბერი „პრავდა“).

საბჭოთა კავშირის მარშალს ს. კ. ტიმოშენკოს გადაეცა სუვოროვის I-ლი ხარისხის ორდენი

25 ნოემბერს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა სუვოროვის I ხარისხის ორდენი გადასცა საბჭოთა კავშირის მარშალს ს. კ. ტიმოშენკოს, რომელიც დაჯილდოებულია ტამანის ნახევარკუნძულის გერმანელ დამპყრობთაგან განთავისუფლების საქმეში მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის და ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ჯარების ოპერაციების ხელმძღვანელობაში გაწეული დახმარებისათვის (საკდესი).

ქრონიკა

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ ამხ. მ. ი. ალიევი დანიშნა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ.

გეგმის შესრულება

ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობებმა ხორბლის საშემოდგომო თესვის გეგმა 22 ნოემბისათვის 100 პროცენტით შეასრულეს, დასთესეს 500 ჰექტარი. თესვა გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომის მდივანი **ლ. ართქიფანიძე**

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **გ. ერაძე**

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

24 ნოემბრის ოპერაციული ცნობა

24 ნოემბრის განმავლობაში **კრემენჩუგის** სამხრეთით მდებარე რაიონში ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს კიროვოგრადის ოლქის რაიონული ცენტრი **ონუფრიევკა**, აგრეთვე დაიკავეს დასახლებული პუნქტები **ნოვო-ეკატერინოვკა, დოგბროპოლი, კონსტანტინოვკა.**

ჩერნიახოვისა და **ბრუსილოვის** რაიონებში ჩვენი ჯარები წარმატებით იგერიებდნენ მოწინააღმდეგის იერიშებს და პოზიციები გაიუმჯობესეს.

მდინარე **პრიპიატის** ქვემოწელის რაიონში ჩვენმა ჯარებმა, რომელნიც შეტევას განაგრძობდნენ, დაიკავეს პოლესიის ოლქის რაიონული ცენტრი ქალაქი **ხოინიკი**, აგრეთვე დაიკავეს 60-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი და მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **მუტიშარი, რუდნია, ნეგინოვი, კლევი, პოსელიჩი, ბოგრინოვიჩინა, ხრაპკოვი, დვორიშჩე, რუდნოე, გუბარევიჩი, რუდაკოვი, ბაბჩინი, ოსტროგლიადი, ვოროტეცი, ხატუჩა, ნოვი რადინი, სტარი რადინი, ბოგრეშოვკა, კრასნოსელიე, დერნოვიჩი.**

რეჩიცის დასავლეთით მდებარე რაიონში ჩვენმა ჯარებმა წინ წაიწიეს და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს.

გომელის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს მდინარე **სოჟის** მარჯვენა ნაპირზე პლაცდარმის გასაფართოებლად და პოზიციები გაიუმჯობესეს.

ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა და საარტილერიო-სანალმეტყორცნო ხროლაა.

23 ნოემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 62 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 5 თვითმფრინავი.

* * *

კრემენჩუგის სამხრეთით მდებარე რაიონში ნ შენაერთის ნაწილებმა წინ წაიწიეს და გაბედული იერიშით დაიკავეს მტრის წინააღმდეგობის დიდი კვანძი — კიროვოგრადის ოლქის რაიონული ცენტრი ონუფრიევკა. ონუფრიევკისა და სხვა დასახლებული პუნქტებისათვის ბრძოლებში ჩვენმა ნაწილებმა გაყლეტეს 1.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დასწვეს და დაანიავეს მტრის 30 ტანკი, ხელთ ვიგდეთ დაკლა, მათ შორის 28 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 60 ტყვიამფრქვევი და 3 საწყობი სამხედრო მასალიანად. წამოყვანილია ტყვეები.

* * *

ჩერნიახოვისა და ბრუსილოვის რაიონებში ჩვენი ჯარები წარმატებით იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების იერიშებს. გერმანელთა ყველა ცდა სოლივით შემოჭრილიყვნენ ჩვენს თავდაცვაში უშედეგოდ დამთავრდა. ჩვენმა არტილერისტებმა, ქვეითებმა და ტანკისტებმა, რომლებიც მტრის იერიშებს იგერიებდნენ, დიდი ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგს და პოზიციები გაიუმჯობესეს. დღეს განმავლობაში მოსპობილია გერმანელთა 32 ტანკი და ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარი.

* * *

მდინარე **პრიპიატის** ქვემოწელის რაიონში ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ და 60-ზე მეტი დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ნ შენაერთის ნაწილებმა გასტეხეს წინააღმდეგობა მტრისა, რომელიც ცდილობდა შუალედ ზღუდეზე შეჩერებას, და დაიკავეს პოლესიის ოლქის რაიონული ცენტრი ქალაქი ხოინიკი. მოსპობილია 800-ზე მეტი ჰიტლერელი. ხელთ ვიგდეთ რამდენიმე საარტილერიო ბატარია და 3 ექვსლულიანი ნაღმსატყორცნი.

* * *

რეჩიცის დასავლეთით მდებარე რაიონში ჩვენმა მოძრავმა ნაწილებმა წყლის ზღუდე გადალახეს და სწრაფი დარტყმით დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი. სხვა უბანზე ნ შენაერთის ნაწილებმა მოსპეს ერთი ბატალიონი ჰიტლერელი. ხელთ ვიგდეთ ჯავშანტრანსპორტიორი, 25 ავტომანქანა და ბევრი საზიდარი ტვირთიანად.

* * *

გომელის ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარებმა, გააფთრებული ბრძოლის შედეგად განდევნეს გერმანელები ძლიერ გამაგრებული პოზიციებიდან. მოწინააღმდეგე რამდენჯერმე გადმოვიდა კონტრიერიშებზე, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია. ამ ბრძოლებში მოსპობილია 1.500-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. წამოღებულია დაკლა და წამოყვანილია ტყვეები.

* * *

ჩვენ ზღვაში ჩაძირულია 2.500 ტონა წყალწყვის ტრანსპორტი, სწრაფმავალი საღესანტო კარჭაპი და 2 თვითმავალი პონტონი მოწინააღმდეგის ტანკებიანად და ქვეითი ჯარიანად.

* * *

პინსკის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა ამ უკანასკნელ დღეებში ლიანდაგიდან გადააგდო ფრონტის ხაზისაკენ მიმავალი გერმანელთა ორი სამხედრო ეშელონი. მარცხის შედეგად დაიმსხვრა 2 ორთქლმავალი, 5 პლატფორმა ავტომანქანებიანად, 12 ცისტერნი ბენზინიანად და 16 საკლოსო ვაგონი. გარდა ამისა, პარტიზანებმა დაანგრიეს 110 მეტრი რკინიგზის ლიანდაგი და ააფეთქეს ხიდი. მატარებლების მიმოსვლა რკინიგზის ამ უბანზე დიდი ხნით შესწყდა.

* * *

ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა მე-14 ქვეითი დივიზიის 53-ე პოლკის 1-ლი ასეულის ჯარისკაცმა ალოიზ პოტოკორმა განაცხადა: „არმიაში ტოტალური მობილიზაციით გამოწვეულ 1943 წლის ივნისში. შვიდი კვირის სამხედრო სწავლების შემდეგ საფრანგეთის გამგზავნეს და ჩარიცხეს მზვერავთა 352-ე დივიზიონის საველოსიპედო ესკადრონში. დივიზიონი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს იცავდა. ჩვენ დარაჯობას ვეწეოდით მარსელის, ტულონის, ავინიონისა და ყემენოს რაიონებში. ჩვენი უკანასკნელი სადგომის — ყემენოს რაიონში ოტალიელთა ნაწილები იმყოფებოდნენ. სექტემბერში ჩვენმა ესკადრონმა და გერმანელთა სხვა ქვეგანაყოფებმა ალყა შემოარტყეს იტალიელთა ბანაკს, გაჩხრიკეს ყველა იტალიელი ჯარისკაცი და ოფიცერი, ჩამოართვეს მათ იარაღი და სამხედრო ტყვეებად ფამოაცხადეს. შემდეგ იტალიელები ვაგონებში ჩასხეს და ჩრდილოეთში გაგზავნეს. სექტემბრის დამლევს სარდლობამ სამაროში ბატალიონად გამოჰყო ჯარისკაცთა დიდი ჯგუფი, რომელშიც მეც ვიყავი. ბატალიონი აღმოსავლეთის ფრონტზე გამოგზავნეს. მთელი გზის მანძილზე ჩვენ ძალიან ხშირად გვხვდებოდა ეშელონები დაჭრილ გერმანელ ჯარისკაცებიანად. მრავალი მთგანი თავ-ბედს იწყევლიდა და გვირჩევდა, ტყვედ დანებდით რუსებსო“.

* * *

წითელი არმიის დარტყმების გამო უკან დახევისას, გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა საშინლად აოხრეს სმოლენსკის ოლქის სტოდოლიშჩის რაიონის სოფლები. სოფელ სტორინოში ჰიტლერელებმა პირწმინდად გადაწვეს 48 მეურნეობა. გერმანელმა მძარცველებმა მოსპეს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, წაართვეს გლეხებს ძვირფასი ნივთები, ტანსაცმელი და საოჯახო საგნები. ჰიტლერელები თავიანთ ზურგში მიერეკებოდნენ მთელ მოსახლეობას. მოუსწრეს წითელი არმიის ნაწილებმა და მხოლოდ მათ გაათავისუფლეს საბჭოთა მოქალაქეები გერმანელთა მონობისაგან. სოფელ სიომინოვოში ჰიტლერელებმა დაწვეს 25 სახლი და 17 საკლმეურნეო შენობა. სოფელ ვასკოვოში ფაშისტმა მტარვალებმა მოსპეს 108 საცხოვრებელი სახლი და სამეურნეო შენობები. გერმანელებმა მთელი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი წაართვეს მცხოვრებლებს. ჰიტლერელებმა დაწვეს ყველაფერი, რის თან წაღებაც არ შეიძლებოდა.

მიმართვა

ქიმიური მრეწველობის ყველა მუშის, მუშა ქალის, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკისა და მოსამსახურისადმი

ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისარიატის კემეროვოს აზოტ-ტუკის ლენინის ორდენოსანი ქარხნის, ჩირჩიკის სტალინის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ქიმკომბინატის, ბერეზნიკის ვოროშილოვის სახელობის აზოტ-ტუკის ქარხნის, ვოსკრესენსკის კუნიშევის სახელობის ქიმიური კომბინატის, № 96 ქარხნის კოლექტივებისაგან

ძვირფასო ამხანაგებო!

ქიმიური მრეწველობის მუშაკებმა უდიდესი სიხარულით მოისმინეს ამხანაგ სტალინის ძიერ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავის შესახებ გაკეთებული ისტორიული მოხსენება, რომელშიც საბჭოთა ადამიანების თავდადებულ შრომას მან უწოდა ხალხის უმაგალითო გმირობა სამშობლოს დაცვის საქმეში.

საბჭოთა ქიმიკოსები ამაყობენ იმით, რომ თავიანთი შრომით ისინიც მონაწილეობენ გერმანელ დამპყრობთა განადგურების საქმეში.

თანამედროვე ომი სახალხო მეურნეობისაგან მოითხოვს, ლითონთან ერთად, ქიმიურ ნედლეულს. რაც საომარი მასალებისა და საჭურველის წარმოებას ხმარდება, მოითხოვს სახელდობრ აზოტს, ოლეუმსა და სხვა ქიმიკატებს.

ახსოვთ რა თავიანთი ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე ომიანობის დროს, ქიმიური მრეწველობის მუშაკებმა 1943 წლის გასულ ათ თვეში გადაჭარბებით შეასრულეს წარმოების გეგმა, რაც დაწესებული იყო თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის მიერ.

ჩვენი ბრძენი ბელადისა და მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის მოწოდებას ჩვენი ქარხნების მუშები, მუშა ქალები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები ახალი საწარმოო აღმავლობით უპასუხებენ და ახალ დამატებითს ვალდებულებებს კისრულობენ სამხედრო საჭიროებისათვის აუცილებელი ქიმიური პროდუქციის გამოშვების მხრივ:

1. ჩირჩიკის სტალინის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ქიმიური კომბინატის კოლექტივი ვალდებულებას კისრულობს წლის დამლევამდე გეგმის გადამეტებით გამოიმუშაოს 5 მილიონი მანეთის ქიმიური პროდუქცია.

2. № 96 ქარხნის კოლექტივი ვალდებულებას კისრულობს 1-ლ დეკემბრისათვის დაამთავროს 1943 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულება.

3. ვოსკრესენსკის ქიმიური კომბინატის კოლექტივი ვალდებულებას კისრულობს 1943 წლის 5 დეკემბრისათვის დაამთავროს წლიური პროგრამა.

4. ბერეზნიკის აზოტ-ტუკის ქარხნის კოლექტივი ვალდებულებას კისრულობს 1943 წლის 21 დეკემბრისათვის დაამთავროს წლიური პროგრამა.

5. კემეროვოს აზოტ-ტუკის ლენინის ორდენოსანი ქარხნის კოლექტივი ვალდებულებას კისრულობს 1943 წლის 25 დეკემბრისათვის დაამთავროს წლიური პროგრამა.

6. ჩვენი ქარხნების მუშაკები ვალდებულებას კისრულობენ:

ა) უზრუნველჰყონ 1943 წლისათვის შრომის ნაყოფიერების გადიდება 25 პროცენტით 1942 წელთან შედარებით;

ბ) დაზოგონ 1943 წელს რაციონალიზატორულ ღონისძიებათა გატარებით და ნედლეულის ხარჯვის შემცირებით სათბობი და ენერგია.

კემეროვოს აზოტ-ტუკის ქარხნის ხაზით — 2.000.000 მანეთისა

ბერეზნიკის აზოტ-ტუკის ქარხნის ხაზით— 3.000.000 მანეთისა

ჩირჩიკის ელექტროქიმიური კომბინატის ხაზით—6.500 ათასი მანეთისა

ვოსკრესენსკის ქიმკომბინატის ხაზით—1.500 ათასი მანეთისა

№ 96 ქარხნის ხაზით — დაზოგონ 1943 წლის IV კვარტალში 1 მილიონ 200 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია და ჩირჩიკის კომბინატის ხაზით—3 მილიონი კილოვატ-საათი.

ამხანაგმა სტალინმა საბჭოთა ხალხს მოუწოდა უმოკლეს ვადაში აღადგინოს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა მიერ დანგრეული მეურნეობა იმ რაიონებში, რომლებიც ოკუპირებული იყო.

ჩვენმა ქარხნებმა გადასწყვიტეს იკისრონ შეფობა დონბასის იმ ქიმიურ საწარმოებზე, რომლების აღდგენაც ამჟამად სწარმოებს:

1. № 96 ქარხანა კისრულობს შეფობას დონეცის სოდის ქარხნის აღდგენაზე.

2. ბერეზნიკის აზოტ-ტუკის ქარხანა კისრულობს შეფობას გორლოვკის აზოტ-ტუკის ქარხნის აღდგენაზე.

3. ვოსკრესენსკის ქიმიური კომბინატი კისრულობს შეფობას კონსტანტინოვკის ქიმიური ქარხნის აღდგენაზე.

4. კემეროვოს აზოტ-ტუკის ქარხანა და ჩირჩიკის ელექტრო-ქიმიური კომბინატი კისრულობენ შეფობას დნეპროძერჟინსკის აზოტ-ტუკის ქარხნის აღდგენაზე.

შეფობის წესით ჩვენ ვალდებულებას ვკისრულობთ მაქსიმალური დახმარება აღმოვუჩინოთ დონბასის იმ ქიმიურ საწარმოებს, რომელთა აღდგენაც ხდება, როგორც მოწყობილობით, მასალებით, ინსტრუმენტით, სურსათით, ისე კვალიფიციური მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების გაგზავნით ამ ქარხნებში.

ჩვენ მოვუწოდებთ ქიმიური მრეწველობის ყველა მუშას, მუშა ქალს, ინჟინერს, ტექნიკოსსა და მოსამსახურეს კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღოონ სოციალისტური შეჯიბრება, კიდევ უფრო გაადიდონ ქიმიური პროდუქციის გამოშვება, მთელი თავიანთი ძალ-ღონე მოახმარონ განთავისუფლებული რაიონების დანგრეული მეურნეობის უაღრესად სწრაფად აღდგენის საქმეს.

გაუმარჯოს ჩვენს გმირ წითელ არმიას და სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს ჩვენს დიდ ბელადს, საბჭოთა კავშირის მარშალს ამხანაგ სტალინს!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

განხილული და მოწონებულია № 96 ქარხნის, ჩირჩიკის ქიმკომბინატის, ბერეზნიკის აზოტის, კემეროვოს აზოტ-ტუკის და ვოსკრესენსკის ქიმკომბინატის მუშაკთა კრებებზე.

კიროვის დღეები ლენინგრადში

ლენინგრადის მშრომელები ემზადებიან აღნიშნონ ფაშისტ დაქირავებულთა მიერ რევოლუციის მტერზე ტრიბუნის ს. მ. კიროვის ავადმყოფობა მოკვლის მე-9 წლისთავი, რაც 1 დეკემბერს სრულდება.

საწარმოებსა და ჰოსპიტლებში წაკითხულ იქნება საუბრები და მოხსენებები ს. მ. კიროვის შესახებ; მოგონებებით გამოვლენ წარმოების ძველი მუშაკები, რომლებსაც სერგეი მირონის-ძესთან ერთად ერთ-ერთ ინ ერ ... ლენინგრადში ... ტუ ... ...

ევროპაში „მცირე“ სახელმწიფოთა ფედერაციების საკითხისათვის

ცნობილია, რომ სამი მინისტრის მოსკოვის კონფერენციის გადაწყვეტილებებს ინგლისსა და შეერთებულ შტატებში დიდი თანაგრძნობით შეხვდნენ. ცნობილია აგრეთვე, რომ ინგლის-ამერიკის პრესამ მათ დიდი ადგილი დაუთმო და ფართოდ გააშუქა მათი მნიშვნელობა. ყოველივე ეს მოწმობს, რომ მოსკოვის კონფერენციის გადაწყვეტილებებმა სწორად ასახეს მოკავშირე ქვეყნების ფართო მასების განწყობილება.

მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მოსკოვის კონფერენციის გადაწყვეტილებათა თანმხლები კომენტარების მრავალსახეან გუნდში გაისმის ყალბი ნოტებიც, რომ ზოგიერთი კომენტატორი უშვებს შეცდომებს და სრულიად თვითნებურ დასკვნებსა და ვარაუდებს, რომლებიც სინამდვილეს არ შეეფერება. ეს უნდა ითქვას, მაგალითად, ლონდონის ყოველკვირეულების „ნიუ-სტეტსმენისა“ (10 ნოემბრის ნომერი) და „ეკონომისტის“ (11 ნოემბრის ნომერი) მიერ ომისშემდგომ ევროპაში მცირე სახელმწიფოთა ფედერაციების საკითხზე ამას წინათ გამოქვეყნული აზრების შესახებ. ეხება რა მოსკოვის კონფერენციის დეკლარაციას ავსტრიის შესახებ, „ნიუ-სტატსმენი“ სწერს: „ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთს ცენტრალურ და აღმოსავლეთ-ევროპის სახელმწიფოთა ყველა დაჯგუფების საწინააღმდეგო აღარა აქვს რა“ თავის მხრივ „ეკონომისტმა“ განაცხადა, რომ დეკლარაცია ავსტრიის შესახებ დუნაის კონფედერაციის შექმნის მომასწავებელი შეიძლება იყოსო.

რა ფაქტების საფუძველზე მივიდნენ ისინი ამგვარ დასკვნებამდე? ავსტრიის შესახებ დეკლარაციაში სად ამოიკითხეს მათ ისეთი რამ, რაც ჰგავდეს მათს მტკიცებას, ისეთი რამ, რაც საფუძველს იძლეოდეს ასეთი მტკიცებისა თუ განცხადებებისათვის? არც თვით დეკლარაცია ავსტრიის შესახებ, არც მოსკოვის კონფერენციის სხვა რომელიმე გადაწყვეტილებანი არ იძლევიან სულ მცირე საფუძველსაც კი ამგვარი დასკვნებისათვის. სჩანს, ეს დასკვნები ნაყოფია მათი ავტორების საკუთარი წარმოსახვისა იმ ანდაზის მიხედვით, რომ „სურვილი აზრის მამაა“.

ნამდვილად მოსკოვის კონფერენციის გადაწყვეტილებებს საერთო არა აქვთ რა ლონდონელ პუბლიცისტთა ზემოთ ციტირებულ მსჯელობასთან და დასკვნებთან საბჭოთა თვალსაზრისის შესახებ ევროპაში მცირე ქვეყნების ფედერაციების საკითხში.

საბჭოთა თვალსაზრისი ფედერაციების საკითხში, როგორც ყოველთვის, ემყარება არა აბსტრაქტულ-თეორიულ, არამედ კონკრეტულ-რეალისტურ წანამძღვრებს. საბჭოთა თვალსაზრისი მთლიანად აღიარებს, რომ მცირე ქვეყნების განთავისუფლება და მათი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის აღდგენა წარმოადგენს ევროპის ომისშემდგომი მოწყობისა და მტკიცე მშვიდობიანობის შექმნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას. მაგრამ საბჭოთა თვალსაზრისი ამასთან ითვალისწინებს იმ კონკრეტულ ვითარებას, რომელშიც მცირე ერები აღმოჩნდებიან ომის დამთავრებისთანავე. მართლაც და, როგორი იქნება ეს ვითარება? სავსებით ცხადია, რომ ევროპის ყველა ურთიერთობა საოთარი ხოქმედების ლოკვიდაციის მომდევნო პირველ პერიოდში დიდი დენადობისა და გაურკვევლობის ზდგომარეობაში იქნება. მცირე ქვეყნებს დასჭირდებათ განსაზღვრული დრო იმისათვის, რომ სავსებით გაერკვიონ ომის შედეგად შექმნილ ახალ სიტუაციაში. საჭირო იქნება დრო, რომ გაერკვიონ მეზობელ და სხვა საბელმწიფოებთან ახლად ჩამოყალიბებულ ურთიერთობაში, ყოველგვარი ტაცხო ჩარევისა, ან გარეგან ზეგავლენის გარეშე, რომლებიც მიმართული იქნება იქითკენ, რომ აიძულონ ეს მცირე ქვეყნები შევიდნენ სახელმწიფოთა ამა თუ იმ ახალ დაჯგუფებაში. საჭირო იქნება, რომ მათ მოაგვარონ თავიანთი საშინაო საქმეები და განსაზღვრონ სხვა სახელმწიფოებთან თავიანთი ურთიერთობის ხასიათი. ზოგიერთი ქვეყნები შესძლებენ ყოველივე ეს გააკეთონ უფრო სწრაფად. ზოგიერთები კი — უფრო ნელა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში თითოეული მათგანისათის ასეთი გარდამავალი პერიოდი გარდუვალია.

მოსკოვის კონფერენციაზე საბჭოთა დელეგაციამ, ზემოაღნიშნულ პრინციპულ მოსაზრებათა საფუძველზე, საკმაო სიცხადით განაცხადა, რომ მცირე ქვეყნების ნაადრევი და შესაძლოა ხელოვნური მიმაგრება თეორიულად დაგეგმილ დაჯგუფებებზე სახიფათო იქნებოდა როგორც თვით ამ ქვეყნებისათვის, ისე ევროპის მომავალი მშვიდობიანი განვითარებისათვისაც. და ეს სავსებით გასაგებია, ვინაიდან ისეთი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი, როგორიც არის სხვა ქვეყნებთან ფედერირება და თავისი სუვერენიტეტის ნაწილზე შესაძლო ხელისაღება, დასაშვებია ხალხთა ნებისყოფის მხოლოდ თავისუფალი და კარგად მოფიქრებული გამოვლინების წესით.

ზემოთქმულიდან მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი დასკვნები გამომდინარეობს.

ჯერ ერთი, შეიძლება ჩაითვალოს, რომ გერმანელების მიერ ოკუპირებული მცირე ქვეყნების ემიგრანტული მთავრობები, როგორც არასაკმაოდ მტკიცედ დაკავშირებულნი თავიანთ ხალხებთან, ვერ შესძლებენ სრულად უზრუნველყონ თავიანთი ხალხების ნამდვილი ნებისყოფის გამოხატვა, რათა გადაწყვიტონ ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი, როგორიც არის ფედერაციის საკითხი. ასეთი რამის გაკეთების ყოველივე ცდა ემიგრანტული მთავრობების მიერ, რომლებიც, როგორც ცნობილია, განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფებიან, მათმა ხალხებმა შეიძლება გაიგონ ისე, როგორც თავზე მოხვევა გადაწყვეტილებებისა, რომლებიც არ შეეფერება მათს სურვილებსა და მუდმივს მისწრაფებებს.

მეორე, სავსებით შესაძლოა, რომ ახალი მთავრობებიც, რომლებიც შექმნილი იქნებიან ამჟამად ოკუპირებულ ქვეყნებში ომის დამთავრებისთანავე, ჯერ კიდევ არ იქნებიან საკმაოდ ავტორიტეტულნი და მტკიცენი იმისათვის, რომ ურისკოდ დაარღვიონ ხალხის ნებისყოფა და ამით გამოიწვიონ რაიმე გართულება ფედერაციის საკითხის გადაწყვეტაში.

ბოლოს, მესამე, არ შეიძლება დავეჭვდეთ იმაში, რომ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ომის დამთავრების შემდეგ სიტუაცია უკვე რაღაცენადმე განმტკიცდება, და მცირე ქვეყნებს ჰქონებენ აუცილებელ სიმშვიდესა და თავიანთი დამოუკიდებლობის რწმენას, ფედერაციის საკითხის განხილვამ შეიძლება მიიღოს უფრო ნაყოფიერი ხასიათი.

საბჭოთა თვალსაზრისი, ზემოთქმულის შესაბამისად, მდგომარეობს იმის აღიარებაში, რომ ნაადრევი იქნებოდა ახლავე დაისახოს და, ამგვარად, ხელოვნურად იქნას წაქეზებული შექმნა რაიმე ფედერაციებისა ან მცირე სახელმწიფოთა გაერთიანების რომელიმე სხვა ფორმებისა. ეს საბჭოთა კავშირისათვის არ გამორიცხავს მზადყოფნას თავის დროზე ძველ შეისწავლოს მოცემული საკითხი სხვა გაერთიანებულ ერებთან ომისშემდგომი თანამშრომლობის გამოცდილების საფუძველზე და ომისშემდგომი დროის გარემოებათა გათვალისწინებით.

ევროპის მცირე ქვეყნების ფედერაციების საკითხში საბჭოთა თვალსაზრისის გადმოცემა სრული არ იქნებოდა, თუ არ მოვიხსენიებდით კიდევ ორ არსებითს მომენტს.

უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა თვალსაზრისით განსაკუთრებით უსამართლოა, რომ მცირე ქვეყნები, რომლებიც გერმანიის სატელიტებად გადაიქცნენ, ახლავე ჩაყენებულ იქნან, როგორც ამა თუ იმ ფედერაციების წევრები, თანაბარ ხელსაყრელ პირობებში იმ მცირე ქვეყნებთან, რომლებმაც განიცადეს თავდასხმა და ოკუპაცია მტრის მხრივ, და, კერძოდ, თვით ამავე სატელიტი ქვეყნების მხრივ. ჰიტლერული გერმანიის სატელიტი ქვეყნები, ისინი თუნდაც მცირე ქვეყნები რომ იყვნენ, ვერ აიცილებენ და ვერც ნდა აიცილონ თავიდან ჰიტლერ-მუსოლინის დანაშაულებში თავიანთი მონაწილეობის შედეგები.

შემდეგ — და საჭირო ამას განსაკუთრებით გაესვას ხაზი—საბჭოთა თვალსაზრისი გადაჭრით უარჰყოფს სსრ კავშირის წინააღმდეგ „სანიტარული კორდონის“ პოლიტიკის აღდგენის ყოველივე ცდებს, რა ფორმითაც არ უნდა ინიღბებოდეს ისინი. სამართლიანობა ხომ მოითხოვს ითქვას, რომ დასავლეთში ამ უკანასკნელ ხანს წამოყენებულ ზოგიერთ პროექტს ფედერაციებისას აშკარად ასდის საბჭოთა კავშირისადმი ამ მტრული, დიდი ხნის წინათ გაკოტრებული პოლიტიკის სიდამპლის სუნი.

ასეთია საბჭოთა პოზიცია ფედერაციებისა და ევროპის მცირე სახელმწიფოთა გაერთიანების სხვა ამგვარი ფორმების საკითხში. ეს თვალსაზრისი დამაჯერებლად იქნა გადმოცემული მოსკოვის კონფერენციაზე. ყოველ შემთხვევაში, ამ საკითხის გამო კონფერენციაზე წამოყენებული არ ყოფილა საწინააღმდეგო მოსაზრება. ამ შემთხვევაში მაშასადე, რაში უნდა ვეძებოთ წყარო ლონდონის ზოგიერთი ყოველკვირეულის ამგვარი აღმაფრენისა, რომლებიც ფაქტების პირდაპირი დამახინჯების წინაშეც კი არ ჩერდებიან? იმაში ხომ არა, რომ ზოგიერთ ავტორს აქვს კეთილი ნებისყოფა, რომ ფეხშეწყობით იაროს მოსკოვის კონფერენციასთან, რომლის საფუძველიც, როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირთან ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების ერთსულოვან თანამშრომლობაში მდგომარეობს.

ამ კითხვას რა პასუხიც არ უნდა მოჰყვეს, ზემოთქმულიდან ცხადია, ყოველ შემთხვევაში, ერთი — ამ აღმაფრენის წყაროს არ წარმოადგენს არც ფაქტები, არც მათდამი ობიექტური და კეთილსინდისიერი დამოკიდებულება.

ზემოთმოყვანილი ფაქტები ამას მთელი დამაჯერებლობით ადასტურებენ.

(„იზვესტია“, 18 ნოემბერი).

საბჭოთა კავშირის გმირი გიორგი გიორგის-ძე გოცირიძე

სოციალისტური სამშობლოს მტრებთან ბრძოლაში სახელი გაითქვა გვარდიის მაიორმა **გიორგი გიორგოს-ძე გოცირიძემ**, რომელსაც კიევის სამხრეთით დნეპრის წარმატებით გადალახვისათვის, დნეპრის დასავლეთ ნაპირზე პლაცდარმის მტკიცედ გამაგრებისა და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მიენიჭა **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება და გადაეცა **ლენინის** ორდენი და მედალი **„ოქროს ვარსკვლავი“.**

ამხ. გიორგი გიორგის-ძე გოცირიძე დაიბადა 1910 წელს გურჯაანის რაიონის სოფელ ყანდაურაში. 1933 წელს მან წარმატებით დაამთავრა სამშენებლო - არქიტექტურული ინსტიტუტი თბილისში, ხოლო 1938 წელს — კომუნალური მშენებლობის აკადემია მოსკოვში. აკადემიის დამთავრების შემდეგ, იგი რჩება მოსკოვში და მუშაობას იწყებს სახელმწიფო საპროექტო სამმართველოში. ამავე წელს ამხ. გოცირიძე შედის საკ. კ. ბ. (ბ) რიგებში. ნაყოფიერ მუშაობასთან ერთად, იგი დაუღალავად ზრუნავს კვალიფიკაციის ამაღლებაზე და 1939 წლიდან დოცენტია.

1941 წელს, ომის პირველსავე დღეებში ამხ. გ. გოცირიძეს გზავნიან სამხედრო აკადემიაში. აქედან ერთი წლის შემდეგ იგი იგზავნება ფრონტის ერთ-ერთ პასუხსაგებ უბანზე, სადაც სახელი გაითქვა, როგორც სამხედრო ინჟინერმა. იგი მონაწილეობას იღებდა სტალინგრადის გმირულ დაცვაში, უნარიანად ხელმძღვანელობდა სიმაგრეებისა და ზღუდეების აგებას. სამშობლომ ღირსეულად დააფასა ბოლშევიკი ოფიცრის საბრძოლო დამსახურება და ამხ. გ. გოცირიძე დაჯილდოვა წითელი ვარსკვლავის ორდენით, სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით და მედლით „სტალინგრადის დაცვისათვის“. ამ პერიოდში თავისი მშობლებისათვის გამოგზავნილ წერილში გიორგი სწერდა: „მივიღე სასიხარულო ბრძანება ჩემი დაჯილდოების შესახებ. ეს დიდი მოვლენაა ჩემს ცხოვრებაში. შემდგომში უკეთესად ვიბრძოლებ და მალე შევხვდებით ერთმანეთს გამარჯვებულნი“.

სტალინგრადთან სახელოვანი ბრძოლების შემდეგ ამხ. გ. გოცირიძე მონაწილეობდა წითელ არმიის შემდგომს მძლავრ შეტევაში გერმანელი ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ.

შ. მაჭავარიანი

მიჯნგი გმირის სამშობლო სოფელში

გურჯაანის რაიონის მშრომელები აღფრთოვანებულნი არიან სამამულო ომის ფრონტებზე მათ მიერ წარგზავნილ ვაჟკაცთა საგმირო საქმეებით. გვარდიის უმცროს ლეიტენანტ ვლადიმერ ლევანის-ძე ბერიშვილისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შემდეგ კიდევ მოვიდა სასიხარულო ამბავი, რომ გვარდიის მაიორს გიორგი გიორგის-ძე გოცირიძეს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ამ სასიხარულო ამბების გამო გმირის სამშობლო სოფელ ყანდაურაში შესდგა მიტინგი, რომელსაც 1.500-ზე მეტი კაცი დაესწრო. მიტინგი გახსნა ყანდაურის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ზ. შენგელიძემ. გმირის ცხოვრებისა და საბრძოლო მოღვაწეობის შესახებ სიტყვა წარმოსთქვა მშრომელთა დეპუტატების გურჯაანის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ზ. გელდიაშვილმა, რომელმაც მოუწოდა გმირის თანასოფლელებს კიდევ უფრო გაზარდონ შრომის ნაყოფიერება, გააძლიერონ დახმარება გმირი წითელარმიელის დედა მარო ჯავახიშვილი, სამამულო ომის მონაწილე გვარდიის კაპიტანი გიორგი გრიქულოვი და სხვ.

გმირის მამა—გიორგი ივანეს-ძე გოცირიძე მიესალმა მიტინგის მონაწილეთ და მადლობა აღსავსე სიტყვები მიუძღვნა საბჭოთა მთავრობას, უმაღლეს მთავარსარდალს საბჭოთა კავშირის მარშალს შშობლიურ სტალინს.

ილ. თევდორაშვილი

ლონგასის პროფესიული ორგანიზაციებისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნომ წინადადება განაცხადა ჩვენი ქვეყნის პროფკავშირულ ორგანიზაციებს ძმური დახმარება აღმოუჩინონ სრულიად-საკავშირო საცეცხლფარეშოს მეშახტეებს, მეტალურგებს, ქიმიკოსებს, რკინიგზელებსა და ყველა მშრომელს კულტურულ, სასპორტო და საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა აღდგენის საქმეში. პროფკავშირთა ცენტრალურმა კომიტეტებმა ფართოდ უნდა გააჩაღონ მუშაობა დონბასის შახტებსა და ქარხნებზე სამრეწველო საწარმოთა მიერ შეფობის განხორციელების საქმეში (მოწყობილობის, ინსტრუმენტების, მასალების შერჩევა). საჭიროა აგრეთვე დონბასის პროფკავშირულ ორგანიზაციებს გაეგზავნოს კულტურული და სასპორტო ინვენტარი — წიგნები, მუსიკალური ინსტრუმენტები, კინო და რადიოაპარატურა, საგმინსტიკო მოწყობილობა, თხილამურები და სხვ.

პროფკავშირთა **სრულიად-საკავშირო** ცენტრალური საბჭოს **კულტურულ-მასობრივი** განყოფილება გზავნის 40-ათას წიგნს 100 ბიბლიოთეკის მოსაწყობად, მათ შორის შახტებში — 70 ბიბლიოთეკის, მეტალურგიულ ქარხნებში — 20 ბიბლიოთეკისა და ელექტროსადგურებში — 10 ბიბლიოთეკის მოსაწყობად. გარდა ამისა, 15 დეკემბრამდე დონბასის ქვანახშირის მრეწველობის მუშათა, სამხრეთის შავი მეტალურგიის მუშათა და ელექტროსადგურების მუშათა პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტები გზავნიან ელექტრომოწყობილობას, რადიოკვანძებს, ჩითეულობას და სხვა მასალას, რაც საჭიროა კლუბებისა და წითელი კუთხეების აღსადგენად.

გადაწყვეტილია სტალინოს და ვოროშილოვგრადის ოლქებში გაიხსნას სამკურნალო დაწესებულებანი 300 კაცისათვის და სანატორიუმები 200 ტუბერკულოზიანი ავადმყოფისათვის. (საკდისი).

ლეპეშეტი

ამერიკის შეერთებული შტატების პოლონური ორგანიზაციების „ანძსდეგი“

ნიუ-იორკი, 18 ნოემბერი (საკდესი). (მიღებულია დაგვიანებით). დეტროიტში პოლონურ ენაზე გამომავალ პროგრესიულ გაზეთ „გლოს ლიუდოვის“ ცნობით, 7 ნოემბერს დეტროიტში გაიმართა კონფერენცია, რასაც დესწრო პოლონური წარმოშობის 300 ამერიკელი, რომელნიც წარმოადგენდნენ პოლონელთა სხვადასხვა სათვისტომოებსა და სხვა ორგანიზაციებს.

კონფერენციამ მოიწონა დეკლარაცია, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

„ჩვენ, დეტროიტის 7 ნოემბრის კონფერენციაზე შეკრებილი პოლონური წარმოშობის ამერიკელები, ვადასტურებთ, რომ გაერთიანებული ერების მიერ ფაშიზმის წინააღმდეგ წარმოებულ ამ ომში ჩვენ უყოყმანოდ ვუჭერო მხარს რუზველტის ჩვენს მთავრობას. ჩვენ სულითა და გულით ვეთანხმებით პრეზიდენტის პოლიტიკას, პრეზიდენტისას, რომელმაც გაერთიანებულ ერთა შემადგენლობაში შემავალ უდიდეს სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან ერთად მოახერხა უზრუნველეყო ყველაზე მძლავრი ანტიფაშისტური ქვეყნების ურთიერთგაგება ომის დროს და ომის დამთავრების შემდეგ.

მოსკოვის კონფერენციამ, რომელიც არის ამ ანტიფაშისტური თანამშრომლობის გამოხატულება, ჩამოაყალიბა ომის დამთავრების დაჩქარებისა და დემოკრატიული მსოფლიოს შექმნის გეგმა.

„თუ ომში გასამარჯვებლად და მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფად, — ნათქვამია შემდეგ დეკლარაციაში, — საჭიროა სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მჭიდრო თანამშრომლობა, მით უფრო საჭიროა პოლონეთის თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან. მეგობრობა — ეს საფუძველია თანამშრომლობა ომის დროს, ისევე როგორც ეფექტურია მჭიდრო თანამშრომლობა ომის შემდეგ. ამ კავშირი ომის შემდეგ, უნდა იყოს საბჭოთა კავშირ-პოლონეთის უთანხმოებათა უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანი. ჩვენ პოლონეთის არმიის მონაწილეობა აღმოსავლეთის ფრონტზე წარმოებულ ბრძოლებში მიგვაჩნია პოლონელი ერის ისტორიისა და უკრაინელებთან, ბელორუსებთან და რუსებთან ამ ერის ურთიერთობის ერთ-ერთ უდიდეს მოვლენად. კონსტიტუციის სახელობის დივიზია ახალ ფურცელს სწერს პოლონელი ერის ისტორიაში. ეს არის ბრძოლის ველზე საბჭოთა კავშირ-პოლონეთის თანამშრომლობის ფურცელი, თანამშრომლობისა, რომელიც განმტკიცებულია სისხლით და რომელიც წარსულში არსებულ გაუგებრობათა მოგონებასაც კი წაშლის.

ყველა ჭეშმარიტი პოლონელი პატრიოტი იბრძვის დემოკრატიული და სამართლიანი პოლონეთის შექმნისათვის... პოლონეთისა, რომელიც ძლიერი იქნება არა სხვისი ტერიტორიების დაპყრობის შედეგად, არამედ ყველა მოკავშირეთა მეგობრობის შედეგად“.

დეკლარაციაში ნათქვამია, რომ „პოლონეთის მთავრობა რეაქციის ტყვეა. რეაქცია ბატონობს მთავრობის, დიპლომატიურ და სამხედრო აპარატებში. ამჟამად პოლონეთის მთავრობა არ იცავს პოლონეთის ეროვნულ ინტერესებს. ამის გამო პოლონური კორპუსი საბჭოთა კავშირში და პარტიზანები პოლონეთში, რომელნიც პოლონეთის დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან, მოქმედებენ პოლონეთის ნაციონალური ინტერესების შესაბამისად და გაეთანხმებულ ერებთან თანხმობით“.

გაუფცვები საფრანგეთში

ბრაზავილი, 24 ნოემბერი (საკდესი). ბრაზავილის რადიო იუწყება, რომ უკანასკნელ დროს საფრანგეთის მთელ რიგ ქალაქებში მუშათა დიდი გაფიცვები მოხდა. პიუიდე-დომის დეპარტამენტში გაფიცული იყო 5 ათასი მუშა, რომლებმაც პროტესტი განაცხადეს ჰიტლერელების მიერ რამდენიმე მუშის დაპატიმრების წინააღმდეგ. დიდი გაფიცვები მოხდა აგრეთვე ლიონის სხვადასხვა საწარმოში. მარსელში მუშაობა შესწყვიტეს ქიმიურ საწარმოთა მუშებმა.

მოკავშირეებმა კუნძულ სამოსის ევაკუაცია მოახდინეს

ლონდონი, 23 ნოემბერი (საკდესი). მოკავშირეთა ახლო აღმოსავლეთის ძალების შტაბი სპეციალური კომუნიკეთი იუწყება, რომ თავიანთი ამოცანების შესრულების შემდეგ ინგლისისა და საბერძნეთის მთელი ჯარები და იტალიელთა ჯარების ნაწილები ევაკუირებული არიან კუნძულ სამოსიდან უზარაზარ კუნძულის სამოქალაქო მოსახლეობის უმეტეს ნაწილთან ერთად. ეს ევაკუაცია განხორციელებულ იქნა რამდენიმე დღის წინათ.

მოკავშირეთა ავიაციის თავდასხმა ვენერსა და სოფიაზე

ლონდონი, 25 ნოემბერი (საკდესი). მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის შტაბი იუწყება, რომ 24 ნოემბერს „მფრინავი სიმაგრეების“ დიდი შენაერთები თავს დაესხნენ ტულონს. იერიში მიტანილ იქნა წყალქვეშა ნავების ბაზაზე. „ლიბერეიტორის“ ტიპის თვითმფრინავები თავს დაესხნენ სოფიას.

საომარი მოქმედება ივაციაში

ლონდონი, 25 ნოემბერი (საკდესი). მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის შტაბი იუწყება, რომ ინგლისის მერვე არმიამ, რომელიც უგზოობის გამო მძიმე პირობებში მოქმედებდა, გადალახა მდინარე სანგრო და შეაჭრა ხიდწინა სიმაგრე სიგანით დაახლოვებით 8 კილომეტრი და სიღრმით 2 კილომეტრი.

ჰიტლერელ მეთაურთა ისტერიული მოწოდება არ მიეცნენ გულგატეხილობასა და პანიკას

სტოკჰოლმი, 25 ნოემბერი (საკდესი). ჰიტლერულმა გაზეთმა „პომერშე ციტუნგმა“ გამოაქვეყნა ანგარიში შტეტინის ჰიტლერული ორგანიზაციის წევრთა კრების შესახებ. კრებაზე გამოვიდა „ოლქის ხელმძღვანელი“ კოგეცერი, რომელიც მოითხოვდა „ბრძოლის წარმოებას მოსახლეობის სულიერი განწყობილებისათვის ძირის გადა, რომ „გამრავლდნენ ადამიანები, რომლებსაც არა სურთ ანგარიში გაუწიონ გერნანიის მდგომარეობის სერიოზულობას, გამრავლდა დამპალი, ბოროტი და მშიშარა ელემენტები“, და მოუწოდებდა უსასტიკესი ბრძოლისაკენ მათ წინააღმდეგ.

ჟენევა, 25 ნოემბერი (საკდესი). ჰიტლერელი გენერალი დიტლი მიუსჩენში კრებაზე გამოვიდა სიტყვით, რომელშიც უჩიოდა იმას, რომ გერმანიაში „ყველგან ბევრს ლაპარაკობენ ნაციონალ-სოციალისტური (ესეიგი ჰიტლერული) პარტიის შეცდომებზე“ და რომ ყველგან ვრცელდება „არახელსაყრელი ხმები და ყოველნაირი წუწუნი“. ჰიტლერელი გენერალის განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ მოსახლეობის პესიმისტური განწყობილება სულ უფრო მეტად იჩენს თავს წერილებში, რომლებიც ზურგიდან ფრონტზე იგზავნება და რომ ეს წერილები აძლიერებენ გულგატეხილობას ჯარისკაცთა შორის.

აჯანყება დანიაში მყოფ გერმანიის სამხედრო ნაწილში

სტოკჰოლმი, 25 ნოემბერი (საკდესი). როგორც დანიის პრესბიურო იუწყება, ამას წინათ გერმანიის ერთ სამხედრო ნაწილში აჯანყება მოხდა, როცა ამ ნაწილს კოპენჰაგენის ნავსადგურში გემში სხამდნენ ნორვეგიაში გასაგზავნად. ჯარისკაცებსა და სავალო ოფიცრებს შორის ბრძოლა გაჩაღებულ. ბრძოლის შედეგად ოფიცრებმა ჯარისკაცებს ბრძოლა ვერ ვერ ვერ ... ...